



„დმერთო,
სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც
ამას ვდუდუნებ!“

2011 წელი გენიალური ქანთხელი კოეტი შაქა-შაქაშელის საიუბილეო თხზილია

ნეტავი იმ ერს,
ვის წინაპარნიც
ზე-კაცობითა დიდ საქმეს
ჰქმნიდნენ!
ვაჟა-ფშაველა

კავკასია

პროზული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№3-4 (49-50) მარტი-აპრილი 2011 წელი

წამი 1 ლარი

ბრიგოლ აბაშიძე

ფესვი ჩამრჩა შენს მიწაში,
რაგინდ ცეცხლით გადაგრუჯონ,
ჩემს ხსოვნაში თქვენ

ვინ წაგშლით
შატბერდო და არტანუჯო!
ტაო, ტაო, კარგო ტაო,
აკლებულთ, საცოდაო!
ჩვენი ქვეყნის ღვინის დედაც,
მტრებმა მკერდს რომ მიგობლუჯეს...
შენს ჩუქურთმებს ძილში ვხედავ,
შენს დაქცეულ ციხის ბურჯებს,
შენი ხანძთა, შენი ტბეთი,
როდის აღსდგეს იაგარო,
როდის იქნეს შენი ბედი
შენ სადროშოს მიაბარო!
ტაო, ტაო, ჩვენო ტაო!
ქართლ-კახეთის ღვიძლო დაო.

ლია ჭილაძე

იასამანი

როგორ ავმდერდი,
როგორ ავფეთქდი,
გადამსკდა მკერდზე
ღიღი-კაბანი,
ამ გაზაფხულის
ლორთქო კვირტებით
გავბრუნებულვარ იასამანი.
ძარღვებში დამდის რქე
და მირონი
სისხლად, რომ უფრო
უნდა ვიპოო,
რომ ღურჯი ზეცის სანაპირონი
ჩემი სურნელით დაგატრიალო.
ფოთლები კრთიან ღამენათევი,
მაქვს აიაზმით შუბლი ნაბანი,
და მზის სხივივით
ვარ ბედნათელი
სიცოცხლით საგვ იასამანი.
ქარი მაქანებს აღმა და დაღმა,
სულ დამაწყვითა ღიღი-კაბანი.
ღიმი მაჩუქე, ცაგ, ერთი ღიმი,
შენთვის ავფეთქდი იასამანი.



სევსურეთი, სოფელ რაშკასთან აბუდელაირის სეობა
ივანე წიკლაურის ფოტო

საერთაშორისო
უკრაინული
დაზვის სამოქალაქო
გაგანაშენი
გვ. 4

სომხების
ჩამოსახლება
სამცხე-
ჯავახეთში
გვ. 2

„ჩაბო ნათიანი
სიბუხაო,
შანაჟი კი
მანამანაზი“
გვ. 6

ულუჯა
უკილაურის
ჰოუსია
გვ. 5

ზრზვასტ, ჩხვტ სამუტაღლავ!

პირიქითა სევსურეთი. არსოტის ულაშა-
ესი ზეობა. აქ ვერაც პირველქმნილი იდლია
სუფევს, ჯერაც ატყვია „ლურჯაის დაკრული
ტორი“ წელთგზასა თუ შავანს, ჭიშკასა თუ
ახიელს, ამლასა თუ ტერლას. ჯერაც ქუხს და
სმინაობს გაბრიელ ჯაბუშანურის არწივებზე
ნამღერი სტრიქონები, მისი უკვდავი სული
მიმოიქცევა ასას ვიწროებში და თავგანჯიან
ჭიუხებში.
ზამთრობით, ჟამიდან-ჟამზე თოვლით
გადასურულ და გაყურსულ მიდამოს შვეულ-
მფრენის სმაური თუ „დააფრთხობს“ – შამილ
ქორთოშიძის „რკინის რაში“ შეფრინდება ზან
ჭიშკაში – გიგლა ოჩაიურთან, ზანაც ახიელში,
ამლაში, ანდა ტერლაში საზღვრის მცველებთან.
იყო ღრო, როცა ამ რკინის რაშს „ციცქას
საფერხეს“ ეძახდნენ არსოტელები, ცოცხალი
იყო მაშინ ციცქაც, უკეთილშობილესი და
კაცრიელი კაცი; ამ ზეობაშიც გაცილებით
მეტი ხალხი სახლობდა, სვასტავიც ბევრი
ჰყავდათ ნაროზაულებს, ოჩაიურებს, ჯა-
ბუშანურებს, წიკლაურებს. და ცხოვრობდნენ

უზომოდ ამაყი არსოტელები – შრომობდნენ,
ნადირობდნენ, ქეიფობდნენ, შულლობდნენ და
თითქოს ყველაფერი ჰქონდათ, მაგრამ. მაინც
რაღაც აკლდათ.
სულ ცოცხლო! ეგებ ეს „რაღაცა“ არც
აკლდათ, არც განიცდიდნენ იმის ნაკლებობას,
ეგებ ამ „რაღაცის“ ქონა არც ეხლათ საჭირო.
ეხლა, XXI- საუკუნეში, კომპიუტერისა და
ინტერნეტის ხანაში, ელექტრონული პრესის
„ქვეშ“ და მუდმივი კავშირის სამყაროში.
მედალს ორი მხარე აქვს, ზოგს რომ მისი
წინა მხარე მოსწონს, ზოგი უკანა მხარეს
რჩეობს. ერთი კია: არა მგონია, რომ დღეს
არსოტში მცხოვრებმა ვინმემ თქვას, რაც
გვაკლია, იმის გაკეთება არ გვინდაო, არა
მგონია, თუმცა...
„გზა სიცოცხლეო“ (ვია ვიტა) იძახდ-
ნენ ძველი რომაელები. ნახევარი მსოფლიოს
დამპყრობელ რომის იმპერიას სჭირდებოდა

გაბრძნობა მ-4 გვირგვინ =>



ანსოტი,
სოფელი მსიელი

ნიკო ლორთქიფანიძე

საქართველო იმდროს

იყიდა საქართველო, მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით; მომავალი სვე-

და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვარეებით. ჰყიდა ვეღა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა.

რაჭა და ჯავახეთი. იყიდა პატარ-პატარა ნაჭრებით. ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიათ, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამო, ბანკის საშუალებით და ჩვენის დახ-

1910 წელი.


ღვი ბერძენიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში სამცხე-საათაბაგო ცილობის საგანი გახდა ოსმალეთსა და რუსეთს შორის.

რომელსაც საკმაო მიწები არ ჰქონდა, მაგრამ პასევიზმა არ მიიღო მესხეთიდან აღრე გაქცეული თავადაზნაურობის თხოვნა, არ დაუბრუნა მათ ქართველ მეფეთა ნაწილობრივი ძეგლი მამულები, არ მისცა საშუალება დაცლილ მიწებზე ქართლიდან და იმერეთიდან თავი-

დასახლებული. ახალმოშენნი სრულიად თავის ნებაზე იყვნენ მიშვებული. საზოგადო მოღვაწე, ივანე გვარამაძე გულისტყვილით წერდა: „მარად სამახსოვრო ნაშთებს, ციხე-კოშკთ, ეკლესიებს გვირდვებენ და გვიქცევენ, მონასტრებს გვაკლიან ხელითგან, ხატებს გვიძარცვებენ, ძვირფას ნივთებს აფორიაქებენ.“



გიორგი ხარანაული

სულითიდან უამონათგალი ბიორბი სააკაძისა, სომეხთა ქართველთაოქულე ნაწილისადმი

გულითა ბრმითა, ზრახვითა მწიკვლევანითა, იესოს კვართის კვანტითა, ფრიადი ელგაი დაგვასო მესხთა!

მამა კლდეს მყავს მიჯაჭვული, იმიტომ ხართ თამამად, არაფერი შეგეშალოთ, მე ვარ სუფრის თამადა!!! ფეხვიანად მოთხრას ცდილობთ, რაც ღვთის ხელით დარგულა, იმისი ვარ სისხლთაგანი, ვინც ეს მიწა მარგუნა! წყალს ნუ ამღვრევთ, დაშოშმინდით, ნუ ვიქნებით უბრებად, უკუნისთვის შეინახეთ თქვენი თავისუფლება! სულ თავისთვის მოიწომეს, ბევრიც მოაწომინეს, ამათ დედას ექქარება, მამაჩემი — ზოწინებს! ამათ შერჩათ, ამ ნაძირლებს, ილიასთან კამათი, მხოლოდ ზეცა დაგვიტოვებს, დედამიწა — ამათი! შენ რომ წყლული გამიხსენი, დღემდე აღარ მიიწინებ, გაგლახ, ბეცმა ქართველებმა ქრისტემდე არ მიიგნებთ! არ ცნობინართ კარგად დაგვის, ერეკლეს და იმის ძეს, არ გეგონოთ ლომი მოკვდა, ეძინა და იღვიძებს! აქ ვიღაცას თოფოფები უხვად გამოუფრინდა, თამადა ვარ! უფლება მაქვს გაგაძეგოთ სუფრიდან! მე ვაფრთხილებ არისტაკებს, არამებს და სურენებს, ჩამოყალიბებულ. აკებს, და სტაჟიან სულელებს. მე ვაფრთხილებ უმადურებს, ვითხებს, ტურებს, მეღიებს, ჯოჯოხეთის მოციქულებს და ქვესკნელთა ფერიებს. მე ვაფრთხილებ ერთიანად — შინაურს და გარეშეს, გალად ჯერ ის დააბრუნონ, რაც აქ მოითარეშეს! არც ისეა, როგორც ჭრიან, ბლანდავენ და კემსავენ, გაიარებთ საქართველო ბოლო ამოკვანებად, და თუ მოხდა მოუხდენი, მოსახდენიც აგრეთვე, საქართველოს მფარველები ზეცას გამოიანგრევენ!!! საქართველოს დასაღუბად გაგარდნილხართ შორს ხმებო. წყალს ნუ ამღვრევთ დანაგუბარს!!! ფრთხილად! „ძმებო“ სომეხებო!!!!!!!!!!!!!!!!!!!!

სომხების ჩამოსახლება სამცხე-ჯავახეთში

რუსების მოსვლამდე ჯავახეთის ფაშა, ანუ ახალქალაქის სანჯაყბეგი გამაჰმადიანებული მუთი-ბეგ ფალანდიშვილი იყო. მას რეზიდენცია ახალქალაქის ციხეში ჰქონდა, ხოლო ოჯახობით მახლობლად მდებარე სოფელ ხოსპიოში ცხოვრობდა. აქ მისი სასახლის მახლობლად იყო კოშკი, ჯამე და ძველი ქართული ეკლესია. ფალანდიშვილი ქალაქის აღებისას ტყვედ ჩაეარდა. მან რუსებს სამსახური შესთავაზა და კაპიტნობა მიიღო. მთავრობამ და მოხელეებმა მისგან მამულებს დიდი ნაწილი შეისყიდეს, სანჯაყ-ბეგობაზე კი უარი უთხრეს.

ტერების შეღავათი, ჩვენი მიწა-წყლის ეთნოგრაფიულად აჭრელებით რუსეთის ხელისუფლებას სურდა, თავისი უპირატესობა შეენარჩუნებინა, თუ ქართველთა პოლიტიკური მოძრაობა დაიწყებოდა. სომხები კი მათ აპოლიტიკურ ხალხად და თავიანთ ერთგულებად მიაჩნდათ. ამიტომაც გადაწყვიტეს არზრუმის მხარეში მცხოვრები სომხების შემოსახლება სამცხე-ჯავახეთის მკვიდრ მოსახლეობისაგან დაცლილ მიწებზე. ოსმალეთიდან გადმოვიდა 30 000 სომეხი, რომელთა ნაწილი ახალქალაქის, ნაწილი კი ახალციხის რაიონებში ჩასახლდა. ამრიგად, იქ, სადაც 1828 წლამდე ქართველი მოსახლეობის 90%-ს აღემატებოდა, 1830 წელს უკვე უმრავლესობად სომხები იქცნენ. მათ ახალქალაქის მხარა მჭიდრო მოსახლეობით დაფარეს, რომელთა შორის აქა-იქ, ქართული სოფლები ოაზისებად ჩანდა. მაშინდელი რუსი დამკვირვებლების აღწერით ქვეყანა ისეთ სახეს იღებდა, თითქოს იგი თავიდანვე სომხებით ყოფილიყო

XIX საუკუნის I ნახევარშივე შემოსახლდნენ ახალქალაქის მხარეში თარაქამები-ქვემო ქართლიდან, ბერძნები არზრუმიდან, რუსი დუზობორები ტავრიისა და ვორონეჟის გუბერნიებიდან, ასევე მომთაბარე ქურთები. დარჩენილი ქართველი მაჰმადიანები ოფიციალურად აღირიცხნენ თურქებად. იმის შიშით, რომ ისინი არ გაქრისტიანებულიყვნენ, არ დაბრუნებდნენ ქართველობას, 1829 წლის ბრძანებით სამცხე-ჯავახეთში აიკრძალა წირვა-ლოცვა ქართულად, ნებადართული იყო მხოლოდ რუსული და სომხური ღვთისმსახურება. XX საუკუნის პირველ მეხამედში, ჯავახეთის სომხებმა რამდენიმეჯერ სცადეს შეექმნათ დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული; საამისოდ მათ ვეროპის დიდ სახელმწიფოთა მისიებსაც კი მიმართეს. ჯავახეთის ავტონომიის მსურველები არიან ისინი ახლაც, რაზეც მეტყველებს ბოლო ხანს განვითარებული მოვლენები.



სამართლიანობა მოითხოვდა, განთავისუფლებული ადგილები მიეცათ ქართველი მოსახლეობისათვის,

ჩხსეთი კავკასიის ქვეს თერავს

რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა გამოაცხადა კავკასიის მთავარი ძედის მამისონის უღელტეხილზე სასაზღვრო პოსტის გახსნის შესახებ. ეს არის ადგილი, სადაც ერთმანეთს ხვდება ჩრდილოეთ ოსეთის, ცხინვალის რეგიონის და რაჭა-ლეჩხუმის საზღვრები. ოფიციალურმა თბილისმა, რომელსაც ეს ტერიტორია თავისად მიაჩნია, განაცხადა, რომ ეს შეუძლებელია, ვინაიდან უღელტეხილი ამჟამად დაფარულია თოვლის მრავალმეტრიანი სისქით. ამავე დროს ქართველი მესაზღვრეები ამტკიცებენ, რომ დათბობასთან ერთად მამისონის უღელტეხილს თავად გააკონტროლებენ. ექსპერტებს ამაში ეჭვი ეპარებათ: რუსეთი უკვე წელიწადზე მეტია აკონტროლებს ამ ტერიტორიას და იქ აშენებს კიდევ დიდ სამთო-სათხილამურო კურორტს. როგორც უშიშროების ფედერალური სამსახურის ჩრდილოეთ ოსეთის სასაზღვრო სამმართველოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ალექსანდრ სოლოდკინმა განაცხადა, სასაზღვრო პოსტი მამისონის უღელტეხილზე უკვე მთლიანად ფუნქციონირებს. „პოსტი მდებარეობს ყოფილი მეტეოსადგურის შენობაში, მთავარი კავკასიონის ქედის პირდაპირ შვედურულზე, ჩრდილოეთ ოსეთსა და ცხინვალის რეგიონს შორის, ძველი ოსეთის სამხედრო გზაზე“, — განმარტა მან. ბატონ სოლოდკინის სიტყვებით, მაღალი მთის გზა გახსნილია წელიწადში სულ რამდენიმე თვით — ივნისიდან სექტემბრამდე. სწორედ ამ დროს არის მცდელობათა შესაძლებლობა, გადაკვეთონ უკანონოდ სახელმწიფო საზღვრები. „ჩვეულებრივად მას შემდეგ, რაც გზა გაუყვანილი ხდება, პოსტები იკეტება, მაგრამ ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება იქნება შესაძლებელი ოპერატიული ვითარების შესაბამისად — შეიძლება, რომ პოსტი მთელი წლის განმავლობაში მოქმედებდეს“, — განაცხადა ალექსანდრ სოლოდკინმა.

საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც მამისონის უღელტეხილის რაიონს მიიჩნევს თავის ტერიტორიად, არ დაუჯერა რუსეთის მხარეს. „მეტეოსადგურის ტერიტორია ამ მომენტისათვის დაფარულია რამდენიმე მეტრის სისქის თოვლით, — განაცხადა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილემ კობა ბოჭორიშვილმა. — თოვლის დნობის შემდეგ მეტეოსადგურზე პირველები სწორედ ქართველი მესაზღვრეები ავლენ“. — თქვა მან. თავის დროზე საქართველო მართლაც აკონტროლებდა მამისონის უღელტეხილს. 1995 წელს მამისონის სახელმწიფო მინისტრი, რაჭა-ლეჩხუმის მკვიდრი ნიკო ლეკიშვილი პირადად ესწრებოდა მეტეოსადგურზე მესაზღვრეების ბაზირების პუნქტის გახსნას. ზამთრობით ეს ტერიტორია ხდებოდა „არავისი“, ვინაიდან თოვლის მაღალი საფარის გამო იქ მესაზღვრეების გაჩერება უაზრობად მიჩნდა, მაინცდამაინც ოქტომბრამდე კი მეტეოსადგური კვლავ ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს ეკავათ.

ყველაფერი შეიცვალა 2009 წლის გაზაფხულზე, როდესაც მისში მეტეოსადგურში ასულ ქართველ მესაზღვრეებს შეხვდნენ უკვე დაფუნდებული რუსი კოლეგები. მათ მოითხოვეს, რომ ქართველი მესაზღვრეები წასულიყვნენ, უარის შემთხვევაში მათ იარაღის გამოყენებით დაემუქნენ. უღელტეხილზე რუსების გამოჩენამ თბილისში პანიკა გამოიწვია. რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიისაკენ რუსეთის ჯარების შემდგომი წინსვლის შიშით, ქართველმა სპეცსამსახურებმა 2009 წლის

გაზაფხულზე ააფეთქეს ნიკოლაევის ხიდი რაჭა-ლეჩხუმიდან მამისონის უღელტეხილისაკენ. ქართველმა მესაზღვრეებმა კი უკან დაიხიეს სამხრეთისაკენ 20 კილომეტრით, მოაწყვეს ახალი პოსტი სოფელ გლოლის მახლობლად.



რუსი ჯარისკაცები ცხინვალის რეგიონის მესაზღვრეებთან

მამის ოპოზიციამ საქართველოს პრეზიდენტს ბრალი დასდო „რუსეთისათვის მორიგი ტერიტორიების ჩაბარებაში“.

კობა ბოჭორიშვილის ახალმა განცხადებამ გაურკვევლობა გამოიწვია რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალურ სამსახურში.

ურში. „ქართველებს არაფერი საერთო აქვთ სასაზღვრო პოსტის შექმნასთან, ვინაიდან იგი მდებარეობს რუსეთ-სამხრეთ ოსეთის საზღვარზე და სრულიად არ კვეთს რუსეთ-საქართველოს საზღვარს“, — განაცხადა ალექსანდრ სოლოდკინმა. საბჭოთა პერიოდის ადმინისტრაციული დაყოფის რუკების თანახმად, მამისონის უღელტეხილი და მეტეოსადგური იმყოფებიან ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებსაც, როგორც ცნობილია,

ამერიკის შეერთებული შტატების სენატში საქართველოს შესახებ რეზოლუცია წარადგინეს, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს ორივე პარტიის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს.

რეზოლუციაში ამერიკის შეერთებული შტატების სენატი რუსეთს მოუწოდებს, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან საოკუპაციო ძალები გაიყვანოს.

ამასთან, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ რეზოლუციაში რუსეთის, როგორც კონფლიქტის მონაწილე მხარის აგრესიაა დაგმობილი.

დოკუმენტს, რომელსაც მხარდასაჭერად კომიტეტებში განიხილავენ, თვის ბოლოს დაამტკიცებენ.

რეზოლუციის ინიციატორები სენატორები ჯენ შაპინი და ლინდსი გრუპეტი არიან.

<http://pirveli.com.ge/>

შესახებ. თანაც მამისონის უღელტეხილს აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა, ვინაიდან მასზე გადის ოსეთის სამხედრო გზა.

ქართველ ექსპერტებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ამჟამად მამისონის უღელტეხილს და მეტეოსადგურს აკონტროლებს სწორედ რუსეთი. „რუსებმა დაიკავეს ეს პუნქტი ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ. მე პირადად ვნახე იქ რუსეთის დროშა, — განაცხადა ექსპერტმა ჩრდილოეთ კავკასიის საკითხის პრობლემებში მამუკა არეშიძემ. — მაგრამ ოფიციალური პოლიტიკური დემაში მათ გადაწყვეტეს განახორციელონ სწორედ ამჟამად, ვინაიდან გაარემონტეს მესაზღვრეების ბაზირების პუნქტი და გადაწყვეტეს განაცხადონ ამის შესახებ ამკარად“. ბატონ არეშიძის სიტყვებით, აქ რუსეთელების გამოჩენის მიზეზი უმეტესად ეკონომიკური ინტერესებია. „რუსეთის განზრახული აქვს ააგოს ამ რეგიონში უზარმაზარი სამთო-სათხილამურო კომპლექსი, — განმარტა მან. — ამავე დროს მოსკოვს არ სურს, რომ ის უშუალოდ ესაზღვრებოდეს პირდაპირ მტრულ საქართველოს, ამიტომ გადაწყვეტეს გადაეტანათ საზღვარი სამხრეთისაკენ და გაემგებინათ იგი. როგორც ექსპერტი გვარწმუნებს, სამთო-სათხილამურო კურორტის ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე უკვე დახარჯულია 3,2 მილიარდი რუბლი, პროცესი კი დაიწყო აგვისტოს ოთხმდე ორი წლით ადრე, 2006 წელს, კრასნოდარის ეკონომიკური ფორუმის გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ პროექტს ასეც ეწოდება — „მამისონი“, — გვაცნობა მამუკა არეშიძემ.

კი მამრამ... «საკუთარს რად არ სტირითა?!»

მალან ოპერატიულად გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტი დიდოელი ისტორიკოსის მამრამდამ მამრამდამის გარდაცვალების ფაქტს, რომელსაც, ერთი შეხედვით, შეგვეთილი მკვლელობის ელფერი დაჰკრავს. თავის მხრივ, ასეთი მყისიერი გამოხმაურებები საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან ნამდვილად მისასალმებელია, კარგი იქნებოდა და ყველაზე ერთნაირად ვრცელდებოდეს. თუმცა ჯერ კიდევ ტაბუად დევნის ჩვენს ქვეყანაში მომხდარ მსგავს მკვლელობებს, თუნდაც პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ფაქტს. საქმე მერამდენე წელიწადია ღიად არის დარჩენილი და დახურვას ელოდება, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან ამის პოლიტიკური ნება არ არის და ალბათ, არც იქნება.

რაც შეეხება მამრამდამის დასახლებას მცხოვრებ დიდოელ მაგომედ გამზატოვს, მის სამშობლოში გარდაცვლილი იპოვეს. დილით სამსახურში წასვლის შემდეგ არავის უნახავს, მხოლოდ საღამო ხანს ნახეს გარდაცვლილი სამსახურის შენობასთან ახლოს. ოჯახის წევრები ამბობენ, რომ მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ ჰქონდა, ამიტომ ვარაუდობენ, რომ ის მოწამლეს. საქართველოს პარლამენტი გამზატოვის გარდაცვალების მიზეზების გამოძიებას საერთაშორისო ორგანიზაციებს სთხოვს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ სწორედ მაგომედ



გამზატოვი ჩამოვიდა საქართველოში რამდენიმე თვის წინ და ხელისუფლებას 14 ათასი დიდოელის ხელმოწერა ჩამოუტანა, სადაც ისინი ქართველ კანონმდებლებს დამოუკიდებელ ეთნოსად აღიარებას სთხოვდნენ, ასევე დიდოური ენისა და კულტურის პოპულარიზაციისათვის ხელშეწყობას. მეტიც, ითქვა, რომ დიდოელები საქართველოსთან შედარებით ითხოვდნენ, რაც, რა თქმა უნდა, დიდოეთის ხელისუფლების გულსწყვიტვას იწვევდა. ქართველი ლინგვისტები გამზატოვს დიდოური ენის

განმტკიცებაში დახმარებას დაჰპირდნენ და ლექსიკონის დამუშავებაც აღუთქვეს. გუმან უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ წიკლაურმა საკმაო საკანდალური განცხადება გააკეთა და პირდაპირ გამოთქვა ეჭვი, რომ გამზატოვი ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა: „ჩრდილოეთ კავკასიაში ყოველდღიურობად იქცა ადა-მიანის უფლებების შელახვა, გატაცება, მკვლელობა. ჩვენი კომიტეტის და დეპუტატების პოზიცია ასეთია: ეჭვს გამოთქვამთ, რომ ეს იყო ძალადობრივი სიკვდილი. ოჯახის თქმით, მას ჯანმრთელობის პრობლემები არ ჰქონდა. დილას ჩვეულებრივ გავიდა სახლიდან და მერე მთელი დღის განმავლობაში არავის უნახავს. სავარაუდოდ, ჯერ გაიტაცეს, მოწამლეს და გვამი დატოვეს“.

გამზატოვის სიკვდილში ქართველი პარლამენტარები ერთმნიშვნელოვნად რუსული

სპეცსამსახურების კვალს ხედავენ, თუმცა უნდა ითქვას, რომ გარდაცვლილს თავად დიდოელებთანაც უკმაყოფილება ჰქონდა. მას რამდენიმე სოფელში არ უშვებდნენ იმ მიზეზით, რომ თითქოს ის დიდოელთა საწინააღმდეგოდ მოქმედებდა.

ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, საქართველოს პარლამენტი მიმართვას გაუგზავნა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელნიც ფოკუსირებულნი არიან ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემებზე, მათ შორის „ჰუმან რაით ვოჩსა“ და „მემორიალს“. „ჩვენ აქტიურად ჩავერთვებით ამ პროცესში, რათა გამზატოვის გარდაცვალება სპეციალურ კონტროლზე აიყვანონ,“ — აღნიშნა ნუგზარ წიკლაურმა.

ჩვენც თანავუგრძნობთ დიდოელ მკვლევარსა და პატრიოტს მაგომედ გამზატოვს. თუმცა, როგორც ვთქვით, საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატთა ამგვარი გადაწყვეტილებები უფრო გულწრფელი მამინ იქნებოდა, საკუთარ „გაურკვეველ ვითარებაში“ გარდაცვლილ, ან უშუალოდ ჩვენი „სამართალდამცავების“ მიერ განადგურებულ მოქალაქეებზე ისევე რომ ზრუნავდნენ, როგორც ამ ბოლო დროს ჩრდილოეთ კავკასიელ მეზობლებზე.

← პირველი გვერდიდან

არხვასტ, ჩხვალ
საფუტგლავ!

გზები (თუმცა გზა ვის არ სჭირდება) ამიტომ ამბობდნენ ალბათ ამას, სჭირდებოდათ და დიდის რუდუნებით აკეთებდნენ კიდევ-გავიხსენოთ: პომპეუსის ხიდიც, (რომლის ნარჩენები დღესაც შემორჩენილია მცხეთაში) მიდიოდნენ, იპრობდნენ ქვეყნებს და აშენებდნენ გზებს, ხიდებს, კომუნიკაციებს, რათა შემდგომ, დაპყრობილი ტერიტორიებიდან უწყვეტ ნაკადად წამოსულიყო არსებული სიმდიდრე. და ცხოვრობდნენ განცხრობით რომის კეისრები, კონსულები, პატრიციები.

მაგრამ, ამასთან ერთად, გზის გაყვანას თან ახლავს რაღაცის ნგრევა, განადგურება, გაფუტვა, იერსახის შეცვლა. „სადაც მატარებელმა გაიარა, იქ ყველაფერი წახდაო“ – იმასხის გ. წერეთლის გმირი და, ნაწილობრივ, არ შეიძლება, არ დაეთანხმო, მაგრამ უგზობაც რომ უარესია?!

ლამაზე თუ ის, რომ ოდესმე მაინც ექნებათ გზა, ოღონდ მერე ამ გზით ათასი „მალი და მამაძალი“ აღარ „მოასვენებს“ ამ მართლაც დაღუპვით სავსე ხეობას?!

ხოლო თუ ამ გზამ „გამაგრა“ ჯერ კიდევ აქ მცხოვრები ხალხი, და ღვთის წყალობით, სხვებიც მოაბრუნა მამა-პაპათა ნაფუძვარზე, ეს იქნება გამართლება იმ უარყოფითისა, რასაც საავტოლობილო გზა აუცილებლად შეიტანს ამ კუთხეში.

თითზე ჩამოსათვლელი თუ დარჩენი ხელოსნები მთაში – ამ ძირძველმა პროფესიამ ბოლო დროს რატომღაც თავისი ხიბლი დაკარგა. არადა, იყო დრო, როცა **ხევსურეთში ბევრი ხელოსნობდა ქვაზე, ხეზე, ვერცხლზე, საილენძზე, ოქროზე.**

ახალუხლებს ხელოსნობისკენ გული არ „ეჭრებათ“



ხევსურეთი, სოფელი ბარისასო, გთმშბ

აქ კუსტარულად ჭედდენ სახნის-საკეთილებს, დანა-ურსებს, თლიდნენ უღლებს, საფარცხველებს (ხეც. ფოცხი), ჯარა-ტაგურეებს, შენდებოდა საღვთო-გომურები, ჯვარ-ხატები, ციხე-ქავეები.

სოფელ კორმაში ცხოვრობს და ხელოსნობს – ამხადებს სკამებს, საკარძლებს, ხის საწოლებს, ტელევიზორის სადგამებს, ცელისა და ცულის ტარებს, სკებს, საფარცხველებს, ტაბლათ.

აგრძელებს: „ხევსურის ქალღაიები, როცა რას აკეთებდეს, იტყვიდეს: სააღე (ხეც. ნიმუში) არა მაქვ, რო გადავიღო ჩემს ნაკეთებზეო. მე სააღე არ დამჭირვებია, თავიდანვე ვქმნი ნახაზსაც და ფორმასაც, რა ციცი მოსწონთა და ყიდულობენ ნაოსტატარს“.

„ფერმ ვერღში“ ვნახე და კვირავს თითო დღეზე თითო მასკვლავი გამოგვეთე: ორშაბათი – მთვარე, სამშაბათი – მარინი, ოთხშაბათი – ოტარიდი, ხუთშაბათი – მუშთარი, – პარასკევი – ზოპრე, შაბათი – ზოჰალი“. მერე კომპოზიციაზე კი, რომელსაც ჰქვია „კაცობრიობის ყველაზე დიდი მონაბოვარი“, გამოსახულია ცეცხლი, კავი, რკინა, ბორბალი, რომელთაც ხარი ემატება, როგორც ძირითადი გამწევი ძალა. „საჭრისის ხმარება თავიდან ცოტა ძნელ-გვარია. ოფლს მასხემდის ორნამენტის გამოყვანაში, გონებაც იმაბებისა და ხელიც, მერე რო მიეჩვევი, ადვილად იმორჩილებ იარაღს“, – ამბობს ოსტატი და ძველხევსურულ ამბებს მივყვება. იმას, რაც თავზე გადახდენია და ზოგადად კუთხის წარსულზეც. დაეჯერება ხელოსანს, რადგან იგი მართალი კაცის სახელით სარგებლობს ხევსურეთში, ამაღაც გამოარჩევენ რვეულში კაცშუაკაცად და მომრიგებლად – მის სიტყვას ყოველთვის დიდი წონა აქვს.

საქართველოს მთა პოლიტიკის ქარღვია!..
დაჩვიის სამომავლო პერსპექტივა

ჩვენი სტუმარია შპს „თუშური ცხვრის ჯიშსაშენის“ ხელმძღვანელი ზემზა ბორილაძე.



თუშური ცხვრის უნიკალურ თვისებებზე მსმენია და გამოვიდა, მაგრამ რაც ჩემი რესპონდენტისაგან, **ზეზვა გორილაძისაგან** მოვისმინე მეცხოველეობის ამ დარგის შესახებ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. როგორც ბატონმა ზემზამ გვითხრა, თუშური ცხვარი მართლაც განსაკუთრებული ჯიშია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. მას ეს თვისებები საუკუნეების განმავლობაში მთის ბუნებასთან, კერძოდ, თუშეთში მოხინაღრობით ჩამოყალიბდა და დღემდე შენარჩუნებული აქვს. სწორედ ამიტომ გახდა ის ასე სასურველი. სულ ახლახან თუშური ცხვრით ირანელებიც დაინტერესდნენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გადავიდა ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში და შეიქმნა შპს „თუშური ცხვრის ჯიშსაშენი“, რომელსაც კოორდინირებას კვლავ სოფლის მეურნეობის სამინისტრო უწევს, რაც ძირითა-

დად არის თუშური ცხვრის (ასევე თუშური ცხენი და ძროხა) ენდემური ჯიშის შენარჩუნებაზე სახელმწიფოებრივი დაინტერესების გამოხატულება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხალასი მოშენება, რომ არ მოხდეს ამ ჯიშების

აღრევა სხვა ჯიშებთან. სადღეისოდ კიდევ ერთხელ გამოიკვეთა თუშური ცხვარი თავისი ნიშან-თვისებებით, ზორცისა და რძის პროდუქტების გემოვნებით. სწორედ ამიტომაც უფრო გამახვილდა ჩვენი ხელისუფლების და სხვა დაინტერესებული ქვეყნების ყურადღება, როგორც თუშური ცხვრის, ასევე, საერთოდ ქართული ცხვრის ჯიშის მიმართ. ამ დარგის აღმავლობის მიზნით **ხელისუფლებამ სათანადო კონტროლი დააწესა, რათა არ მოხდეს ამ ჯიშის მასიური გადინება სხვა ქვეყნებში. ძირითადი კონტროლი დაწესდა დედა ცხვრის რეალიზაციაზე, ანუ ეს გულისხმობს, რომ გაყიდვამდე არ იყოს დედა ცხვარი და ასევე დედალი თოხლი.**

„უახილოს სასაოიო
ლურჯი ხაზს თხალისი“



საიდან მოხვევლ, სად მისვალ,
ნისლო, მთას გადამდინარო,
ხან გრიგალს შეჭიდებულო,
ხან ჭიუნებში მძინარო.
ხან მზის სხივებით ქარგულო,
ხან დიაცივით მტირალო,
დაიცა, გამესაუბრე,
მითხარ მწვერვალთა ამბავი.
არ მაისხესა მხრებზედა
ყვავილთა ტანმოსართავი?
ენლა ხო გაზაფხულია,
აყვავდებოდა შალშავი,
დილის ნიავთან კეკლუცობს,
სურვილით იწვის ქალშავი.
ერთხელ ვერ გაგესაუბრე,
ვერ ავისდინე წადილი,
ნისლო, მთას გადამდინარო,
გვაშორებს დიდი მანძილი,
ჩამოდი, სტუმრად მეწვიე,
არ გეხმის ჩემი ძახილი?
სადმე სალი კლდის ნაჟურთან,
ერთად გაგმართოთ სადილი,
მაგრამ მწვერვალთა დათმობა,
შენთვის არ არის ადვილი.
სუ მაგათ გულმკერდს ეხვევი,
როგორც ლამაზის მანდილი,
ნისლო, მთას გადამდინარო,
ისმინე ჩემი ძახილი.

ნისლებს ვადმოგყევი, ვადმოგვედ
მაგ შენი სოფლის მხარესა,
შენსამც შარავზას დაგკოცნი,
შენ ფეხთა ნატერფალებსა,
დაგეძებ გულჯაგრიანი,
შავტირი მთების ნიაგსა,
მტერსაც ნუ ვნახავ, არ მინდა,
სატრფოს გულისად მტირალსა.
გუშინა ვთხოვე კოპალას,
იქნებ მაქციოს ქორადა,
შენ იყო ჩიტი ნიბლია,
აღარ გაგიშვებ შორადა.
ვერ გაგიძებტებ, ლამაზო,
სხვის მკლავზე დასაწოლადა,
ბრჯღალით შავტაცებ ნაწნავსა,
ძალით დავისომ ცოლადა.

აყვავებულა არაგვზე დეკა,
ნისლი მოცურავს მთა-მთა.
სევდა მასწავლეს, ფშავლის ასულო,
ემაგ თაფლისფერ თვალოთა.
ცხეგორობას სტუმრად მოგივალ,
არ მაკოცება, ნეტა?
შენთან ღრეობა მწადიან, ქალო,
ყოფნა მწადიან შენთან.
ამ ქარაფებს და კლდოვან ბილიკებს
რაისედ სთელავ კენტად,
მოდო, ვიქნები შენი წაწალი,
მთები დაგვლახოთ ერთად.
და თუ შენ გამო, ფშავლის ასულო,
შენ ძმათ შემაჭრეს ხმალზე,
ნეტა მანახვა, როგორ მიტირებ
გლოვის სევდიან ხმაზე.
აყვავებულა არაგვზე დეკა,
ნისლი მოცურავს მთა-მთა.
სევდა მასწავლეს, ფშავლის ასულო,
ემაგ თაფლისფერ თვალოთა.

მზე მიეფარა ლილისფერ გორებს,
გაუჩინარდნენ ხეთა ჩრდილები.
ვით ნოემბერში ტირიფის ტოტებს,
მძარცვავენ წლების ქარტყნილები.
წლებმა სიშმაგით ბედაურების
მკერდზე ჭენებით გადინავარდეს
და ბედისწერის მოციქულები
ჩემს სიბერეზე წერენ განახენს.
სევდას მიქარვებს ღვინო და ქნარი,
სიბერეს ვუფროთხი, როგორც ბელურა,
ახალგაზრდობის ვიჟმაჟი ქარი,
ნახანძრად მკერდში მინელებულა.

მოიცა, ერთ წუთს შეჩერდი ჩემთან.
ყოველთვის ასე სად მიიქარი?
შენ ხომ სიცოცხლის განთიადი ხარ
და ერთადერთი მზის საფიცარი?
შეჩერდი, ერთად შეგხვდეთ მინდა
ცისარტყელების ციდან ჩამოსვლას.
გკითხოთ, ტკივილი ხომ არ აწუნებს,
ღრუბელს თაგნება ქართან ნაომარს.
მითხარი, როგორ გადაგარჩინოთ
გული, დაჭრილი შენი მახვილით.
დაგეძებ ჩემი მღელგარე სული,
ცის ლაბირინთებს უხმობს ძახილით.
მოიცა, მინდა ეს გაზაფხული,
შენ მოგილოცო ლურჯი აპრილით.
მოიცა, თორემ გადავირევი,
თავს ჩამოვიხრჩობ შენი მანდილით.

აშლილან თეთრი ნისლები,
აჭყენენ ხეობებს კლდოვანებს,
ისევ თოვს საჯისვებში,
ისევ ქარბუქი მძვინვარებს.
კვლავ თეთრი ჩონა აცვია
მწვერვალებს ყინულიანებს,
წელს წეროებმაც სიმღერით
გადმოგლა დაავგვიანეს.

ვსერავ თოვლიან ბილიკებს,
ვნატრობ რიფრაფებს მზიანებს,
ჩემს ნაფხურებს ქარი შლის,
სულში მიტოვებს იარებს,
მკერდში ძველს გული მღელგარე,
ქვემოთ კი ილტო ღრიალებს,
ვინ იცის, ფშავლის საგულეს
რა ცეცხლის ალი ტრიალებს...

ხმას რად არ გამცემო, მითხარით,
ილტოს ხეობის გორებო,
იქნებ სიდაბლით ვერ მაძინებო,
სიმაღლით ცათა სწორებო.
იქნება ღირსი არა ვარ
თქვენის გულმკერდის ცქერისა,
მაშ თუ ვერეა, წამერთვას
ძალა ლექსების წერისა,
ნურც მიყმოს კოპალის ჯგარმა,
ხოქვე დამდგარი მუდარით,
ჩემს საღიშარსაც დასთაღნახვს
ლევა ღრუბლების სუდარი.
ნურც გამიღიმოს ლამაზად
ბექში მოსულმა იამა,
ზურგი მაქციოს, დამწყვეგლოს,
ილტოს ხეობის ნიაგმა.

კვლავ ვნახე შენი სოფელი,
მზემ ნისლის ფარდა ასწია,
მწუნის ნიაგმა წყაროსთან
ჩადუნა გადაარწია.
მაგ შენი სოფლის ბოლოზე
ხარობს შალშავი პაწია,
მისმა სინაზემ, სიტურფემ,
კაცი სურვილად მაქცია.

შატლის ცახავით ლურჯი გაქვს თვალები,
მშვენებით მოჭვავხარ სალი კლდის ავაზას
მაგ სილამაზისთვის გწყევლიან ქალები,
ვაჟები კოცნიან შენს საგალ შარავზას.
რამდენჯერ ვევედრე ლაშარს და კოპალას,
კვლავ დამბრუნებდნენ აპრილებს გაფრენილს.
შორს გაგიტაცებდი ცელქსა

და ლურჯთვალას.

შენს დალალს ვნახავდი
ჩემს მკლავზე დაფენილს.
კვლავ ნულარ შემხვდები, მერიდე მზექალო,
კაცი არ მაცდუნო მაგ თვალოთა მშვენებით.
შეგცდები, შეგტაცებ პერანგის საყელოს,
მთებს გადაგატარებ ლურჯაის ჭენებით.
და როგორც ყაჩაღი, არწივთა საბუდარს
მიგალ და გაგხდები სალი კლდის ხიზანი,
შურთხებთან დაგმალავ

საცოლეს ნაქურდალს,

უშენოდ სიცოცხლეს

არა აქვს მიზანი.



თინიკო მგელიაშვილი

„ჩემი ნათამამი სიტყვით, შენამს კი ბაზმავინდობა.“



შენი ცხოვრება შვითან 1917 წელს დაემთხვა. ვერ შეურიგდი მთაში სისხლითა და აწიოკებით შემოსულ წითელ „ჩეკისტებს“...

ხეზე მიგრდობილი, ლექსებად კინძავი შენს ნაფიქრალს და განცდილს, ლურჯ იებსა და ეკლიან ასკილებს ეფერებოდი.

„სხვას კი არავის რა უშავს, შენ მებრალედი ბერაო.“

სულ მალე, „ახალი ცხოვრების“ დასამკვიდრებლად მებრძოლი ხელისუფალნი წამებით ამოხდიან სულს შენს მოხუც დედას.

სველ მიწაზე პირქვე დამხობილს, უსაშველოდ გტკიოდა ამაცი სული და დედის ნაწამები სხეული. დასაფლავების დღეს ჩარგალში თავმოყრილ ხალხში, სადაც „წითელი ჩეკისტები“...

„დედას ეუფარავთ შეილები, დედა არ გვასწავს შეილებსა, ამიტომ წუთისოფელი გეტანავს და გვაცოდილებსა.“

თანდათან მცირდებოდა შეფიცული რაზმი. ჩოლოყავილმა სახლგარეთ გადასვლა გადაწყვიტა.

ჩარგლის თავს შეხვდით ერთმანეთს შენ და ქაქუცა. შემოდგომა იყო, ისლება და წვიმას აევსო არაგვის ხეობა.

„უნდა წამოხვიდე, მიხავ! აქ ღარჩენას აზრი არა აქვს.“

მინც რა წარსული გქონდა ასეთი, ფშაურ, ლეგა ჩოხაში გამოწყობილ 25 წლის მხარბეჭიან ძალოვან და გულოვან ვაჟკაცს?! შენმა ბავშვობამ ახადის მთებში გაიარა.

ბოლომდე მარცხი იყო ქაქუცა. წვიმით დასველებული, ნაბღის ქვეშ ჩამოტყნილივით მოუჩანდა მხრები ტანსმელ ვაჟკაცს.

სიტყვას ვერ ძრავდი, მიხა. მღუმარედ იდექი, ვერც წვიმას გრძობდი, ვეღარც ფამისფერი ხვალისდელი დღის შიშს.

იცოდი, ხელაშვილო, სიკვდილის პირას რჩებოდი, აქი თქვი კიდევაც, „მე მამკლავს მძისა მამკლავი, იქნება სახელანი“.

ხატების შემქმნარებმა, ეშმაკის თანაზიარმა ადამიანებმა მოისყიდეს სულმკლე კაცუნები, შენს მეგობრებად რომ ასაღებდნენ თავს, შენთან ლუკმა გატეხეს, მერე კი მძინარეს ტყვიები დაგასაღეს.

თოვლიან ბილიკებს მიჰყვებოდა ზურგზე ზურჯინმოკიდებული პელაგია ჩარგლისკენ, ზურგით მიჰქონდა ცოლო-ბრაღი „იმ დროებისა“...



ფერში და ცისფერში ნიათობდა, საქართველოსთვის ლოცულობდა, დედამიწაზე ეშმაკი ხარხარებდა, ზვავის ხმაზე გინასობდა.

პელაგია ზურჯინი არ ამძიმებდა, აქი ბავშვობაშიც ასე იცოდა, მოგიკიდებდა ზურგზე და ქარივით დაჰქროდა ლელე-ლულეებზე.

შენთვის, სიცოცხლის საზომი სიყვარული იყო, სიკვდილის შიშს რომ სჯობნის. სიკვდილს ამარცხებს და მასზე ძლიერა და თუ კაცის ღირსება მის არჩევანშია, შენ ყველაზე ღირსეული კაცი ყოფილხარ, ხელაშვილო, რადგან შენს არჩევანს „სამშობლო“, „სიყვარული“ და „ერთგულეობა“ ერქვა.

ქართულ-დაღესტნური კულტურულ-ისტორიული კავშირები და დაღესტნელი პოეტის მაისატ მუსლიმოვას საღამო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ქართულ-დაღესტნური კულტურულ-ისტორიული კავშირები“.

ქართულ სამეცნიერო წრეებთან ერთად კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეცნიერები დაღესტნის რესპუბლიკის აკადემიიდან, დაღესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებიდან.

კონფერენციის ორგანიზატორია „კავკასიის ფონდი“ და მისი მიზანია ხელი შეეწყოს საქართველოსა და დაღესტნის შორის ურთიერთობების გაღრმავებას სამეცნიერო და კულტურის სფეროში.

„კავკასიის ფონდის“ ორგანიზებით ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიან დარბაზში შედგა დაღესტნელი პოეტის მაისატ მუსლიმოვას შემოქმედებითი საღამო და ნიკო ფიროსმანისადმი მიძღვნილი მისი ლექსების კრებულის პრეზენტაცია.

წლებულს, მარტში, მაისატ მუსლიმოვა გახდა რუსეთში ჩატარებული საერთაშორისო ლიტერატული კონკურსის „ოქროს სტროფის“ გამარჯვებული ფიროსმანისადმი მიძღვნილი ალბომის ლექსების ციკლისათვის.

ბავშვობით თუბეთში

კავკასიაში, საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, მდებარეობს მაღალმთიანი მხარე, რომელსაც თუშეთი ჰქვია. ტერიტორიულად ჩრდილო კავკასიას ეკუთვნის, ამიტომ იქ მოსახლდნენ კავკასიონის მთავარი ქედი უნდა გადაიღახოს სოფელ ფშაველ-ლევურის შემდეგ, აბანოს თავის უღელტეხილზე, ზღვის დონიდან 2926 მეტრ სიმაღლეზე.

თუშეთის ცენტრალურ სოფელ ომალოში მდებარეობს თუშეთის სახელმწიფო კომპლექსის კომპლექსი – კესელო. კესელოს მიმდებარედ კი ოჯახური სასტუმრო „ომალო-2005“.

სასტუმროს სამ სახლში ერთდროულად შესაძლებელია 16 პერსონის მიღება ერთ და ორ საწოლიან საძინებლებში. სასტუმროში ორ პალატას აქვს საკუთარი სააბაზანოები, ხოლო დანარჩენ პალატებს საერთო.


სამზარეულო და სასადილო გაერთიანებულია და მაქსიმალურად არის შენარჩუნებული ოჯახური გარემო (იგულისხმება ტრადიციული კერძები, სასმელი, ლუმელი, გარმონი, ფოლკლორი და სხვა).

სასტუმროდან შესაძლებელია ტურების მოწყობა ფეხით, ცხენით და მანქანით თუშეთში არსებული ყველა ტურისტული მარშრუტით.

სასტუმროს მომსახურების ფასები:

- ერთი ვიზიტორი სამჯერადი კვებით. პირველი დღე 50 ლარი, მეორე და შემდეგი 40 ლარი.
ერთი ვიზიტორი კვების გარეშე პირველი დღე 20 ლარი, შემდეგი 15 ლარი.
ერთი ცხენი ერთი დღით 40 ლარი.
ერთი გამყოლი ერთ ჯგუფზე (ჯგუფში 5-მდე ცხენოსანი) 40 ლარი.
ერთი გამყოლი ფეხით მავალ ჯგუფს 30 ლარი.
ერთი ავტომობილი თუშეთის ტერიტორიაზე სამობროდ დღეში 100 ლარი.

ჩვენი მისამართია: საქართველო, ახმეტის რაიონი, თუშეთი, ზემო ომალო.
საოჯახო სასტუმრო „ომალო-2005“
ტელ: 899 29 37 56, 899 67 22 43, 890 555 450.



ორიოდე სიტყვა მისა ხელაზვილზე

ბევრს მოუსმენია, ბევრმა ზეპირადაც იცის **ქართული ხალხური სიტყვიერების მარგალიტი** — „ლეკსო, ამოგთქომ, ოხერო“, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ მისი ავტორი იყო ფშაველი **მისა ხელაზვილი**, **ქაქუცა ჩოლოყაშვილის შუფიცულთა რაზმის წევრი**. საბჭოთა პერიოდში მისი სახელის ხსენება, ისევე, როგორც თვით **ქაქუცა ჩოლოყაშვილისა**, სასტიკად იყო აკრძალული. ხალხში გავრცელებული მისი რამდენიმე ლექსი, მთქმელის დაუსახელებლად და დიდი ხიფათის ფასად შექპონდათ ფოლკლორისტებს ხალხური პოეზიის კრებულებში.

უკანა ფშავეში, ლაშარის გორის მთიანეთში, ტყიანი გორის თავზე არის ერთი ულამაზესი სოფელი **ახალი**. აქ ყოფილა **გოდერძაული თემის სამკვიდრო**. შეუკრებილი სოფლის ბოლოდან დღესაც გადმოსცქერის არაგვის **გოდერძის ციხის** ნაშალი, მომხდურ მტრებთან უთანასწორო, გმირული ბრძოლების მოწმე. ის იყო ჩამკეტი პანკისის ხეობიდან გადმოსასვლელი გზისა, პირველი დარტყმის თავის თავზე მიმღები. ერთ-ერთ ხალხურ ლექსში შემონახულია ახადელთა ბრძოლის ერთი ეპიზოდი: „**კაქადს, გოდერძის ციხეო, ქვამცნუ გდება ქაზხედა, მოგიკლენ ქისტის შვილები, ალი აგზევის ტანზედა**“.

აი, აქ, ამ გარემოში, დაიბადა მისა ხელაზვილი **1900 წლის 25 იანვარს**. დაწყებითი განათლება **თამარ-მეფის (თამარ-ღელის) სალოცავში მოუღია**, რომელიც ახადის გამოღმა გორზეა დაბრძანებული, მისრიათ მხარეს. უფრო სწორად, წერა-კითხვა უსწავლებია **თამარ-ღელის საყდარში მოღვაწე მღვდელს, მოსანთლიშვილს**. მას განსაკუთრებული ნიჭი შეუძენია პატარა მისასათვის და მამამისისთვის—

ზურაბისთვის ურჩევია, სასწავლე-ბლად წაეყვანა. ჩანს, სასულიერო, საღიაკენო სასწავლებელზე კარგი ვერაფერი წარმოედგინა — თბილისის ორწლიანი საღიაკენო სასწავლებელი მოუსწავლებია. ზურაბს ხარები გაუყვია სწავლის ფულისათვის, რასაც იმდროინდელ ფშავესურეთში იშვიათად თუ ვინმე გააკეთებდა, რადგან ბაღის „ქალაქისად ჩახედვა“ დედაჭუაობად მიანდათ.

1915 წელს, სასწავლებლის დამთავრებისთანავე, მისა ხელაზვილი, სოფელ ბარისახოში გაუმწესებიათ დიაკვნად, სადაც დიდი სიყვარული დაუმსახურებია, როგორც წესიერ, ნიჭიერ და მამაც ახალგაზრდას.

25 წლის ასაკში გამოასალმეს მისა ხელაზვილი სიცოცხლეს, მაგრამ ვერ მოკლეს, რადგან არაერთი დარბევა-განადგურების მიუხედავად, გადარჩა მისი ლექსების ნაწილი. ამან, ღირსეულ სიცოცხლესთან ერთად, ლეგენდად აქცია, უკვდავო მისა ხელაზვილის სახელი. მისას მამისეულ სახლში, ახალში, მილიციის სულ გაუნადგურებია პოეტის ბავშვობის დროინდელი ნაწერები. კახეთში შექმნილი ჩოლოყაშვილის რაზმელობის პერიოდის ლექსთა ნაწილი, რომელიც მის მეგობარ **ივანე ყაყადაშვილთან** ინახებოდა, მან მის მეგობარსა და მისას შემოქმედების თაყვანისმცემელს, **ვანო ხორაშულს** გადასცა. ვანომ ლექსები კლდეში დამალა, რამაც გარკვეულწილად დააზიანა ისინი. გარკვეული ხნის შემდეგ, მან მისა ხელაზვილის ლექსები ფსევდონიმებით — „**მისა ახადელი**“ და „**მიხელი ზურაბაშვილი**“ — გამოაქვეყნა თავის მერ გამოცემულ ხალხური სიტყვიერების კრებულში.

გივი სორნაული



არდოტის ქალაურის წმ. გიორგის საფლავი



როშის ქიხები, ბაბუა ალუდაურის ფოტო

თქვენი მათური

მათურის ხატს

სამხეგრეო

შორიდან მაინც შემახედეთ მათურის მთებს შორიდან მაინც მალოცინეთ მათურთ ხატი, ქადაგად დაგვეცემი და ისე გვითხავ რატომ დაგვემდურე? რატომ გაწყრი? მაინც მიყვარხართ და მენატრებით, მაინც თქვენთან მოსვლა მენატრება, მათურის მთავ და მათურთ ხატო, როგორ მინდა თქვენი შერიგება. თ, როგორ მინდა რომ შემოგიყვებო ჩემ ძმების ნავალ ბილიკს მოგვეფრო მოვიდე, გულმკერდი დაგიკოცნოთ იქნებ თქვენ კალთაში შეფარება შეგძლო. მათურის ხატო, არ დამრისხო, შენთვის ჩემი თავი შეგეტება, გგარი დამილოცე, გამიმრავლე შენთან უძრახობა მენანება. ჩემი მამისახლი დამილოცე, ფშაგლის ქალს ხატად რომ ესახება, ქალ, რძალ, სიძენი დამილოცე მათი გამრავლება მენატრება. დედით მათურლები დამილოცე შენი ლოცვით ძალა ემატებათ ჩემ ძმების სახულეთი დამილოცე იქამც ნათელი დაადგებათ. ფშაგლებო, თქვენს მოდგმას გენაცვალე, თქვენ ჩემი დარდის კალო უნდა ლეწოთ, ისე თქვენ უნდა შეგვარიგოთ, ისე თქვენ უნდა შემახეგწოთ!

ლაშხა აბანილია მათურაში 2010 წლის ივლისის ბოლო კვირას, მათურაზას!

ლავა ნადარპიშვილი

ღმერთო, მიეც მეფეს ტვინი!!!

გტირი, შენი ცრემლით გტირი! გხარობ, შენი გულით გხარობ! ღმერთო, მიეც მეფეს ტვინი, კატა რომ არ გამოთხაროს!!! ერო — საწმისწართმეულო! ერო — დიდგონმოგებულო! უფლისათვის წამებულო! უკვდავებას მორგებულო! — მეც მიგულე ჯარისკაცად გარსკვლაგების ამალგებით. მისხენებდნენ მხოლოდ კაცად საქართველოს ტრამალგები! თუ სიცოცხლე მიწერია, თუ სიკვდილი შეგიცანია, ალგები რომ ირწვიან, დაიხსომე: ჩემიც არი!!! გტირი, შენი ცრემლით გტირი! გხარობ, შენი გულით გხარობ! ღმერთო, მიეც მეფეს ტვინი, კატა რომ არ გამოთხაროს!!!

სოფლის განსაჭირი

წერილი რედაქციას

სუთი-ექვსი წელია ლაფანყურელები მდინარე ლაპოტის წყლით სარგებლობენ. ლითონის მილი, რომელიც ორმოცი წლის წინ ჩაიდო სოფლის ცენტრალურ გზაზე, უკვე დაძველებულია და სოფელი მაინც ამ წყლით სარგებლობს, რომელიც დასაშვებ ნორმას 100-ჯერ აღემატება. 5-7 წლის წინ კი უცხოეთის გრანტი დავინანსებელი თანხით გაკეთდა წყლის მიწოდება ისე, რომ ღრენაქში არ ხდება წყლის დაწმინდაება, რომ მოსახლეობამ გამოიყენოს. ცენტრალური მაგის-

ტრალის წყალი, მოსახლეობას რომ მიეწოდება, ფაქტობრივად ამყაყებულია, და გამოსაყენებლად საშიში. სწორედ ამ წყლით სარგებლობენ ლაფანყურელები. ჩვენთან სიცოცხლის ხანგრძლივობა 60-65 წელია. ბავშვები ხშირად დიზენტერიით ავადდებიან. თითქმის მთელი მოსახლეობა კუჭ-ნაწლავით არის დაავადებული. სოფლის ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს გზის გაუმართაობა. მიუხედავად იმისა, რომ

საქართველოში ამდენი გზები კეთდება, ჩვენი გზის მშენებლობას არ დაადგა საშველი, ძალზე სავალალო მდგომარეობაშია. ლაფანყურიდან არის საშუალება რომ უმოკლესი მანძილით გერნის ტბის გვერდის გავლით, რაიონულ ცენტრამდე გადავიდეს გზა, — მაგრამ, დღეისათვის გადაკეტილია და მოსახლეობას ამ გზით სარგებლობის უფლებას არ აძლევენ. მიზეზი კი შემდეგია: გერნის ტბაზე აშენებულია სასტუმროს ტიპის რესტორანი, რითაც სარგებლობენ ხელისუფლები

წარმომადგენლები, მაღალჩინოსნები, როგორც ჩანს მათ არ სურთ მოსახლეობამ დაინახოს მათი ზარხეიმები და ღრებები. ამ უმოკლესი გზის შესასვლელ-გასასვლელები გადაკეტილია შლაგბაუმებით. ჩვენი დარდი კი თითქმის არავის არ აქვს, ამ უმოკლესი გზით სარგებლობა ხშირ შემთხვევაში ადამიანებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის შინაარს იქნეს. არის შემთხვევები როცა მძიმე ავადმყოფი სოფლიდან რაიონის სავადმყოფოში გადაყავთ,

როცა ავადმყოფისთვის ზოგჯერ თითოეულ წუთსაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამის თაობაზე არაერთგზის თქვია და დაწერილა, მაგრამ საშველი არ ჩანს. **იმედია, თელავის რაიონის ხელმძღვანელობა ყურად იღებს სოფლის ამ გასაჭირს და დაგვეხმარება აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში.**

გელა გორთაგაშვილი ლაფანყური.

ბოლო გვერდი

დიდსული მუსიკის დიდსული მსახურაკობა



2011 წლის 5 მარტს თელავის რაიონის სოფელ ფშავლის სოლომონ იორდანიშვილის სახელობის ბიბლიოთეკას სოლომონ იორდანიშვილის შეილიშვილებმა: ლელა და გონა შათირიშვილებმა, ვაჟიშვილმა გიორგი იორდანიშვილმა საჩუქრად გადასცეს ახლად გამოცემული ქართული წიგნები, სულ 70-მდე დასახელებისა, მათ შორის: სერიიდან „ქარ-

თული პროზის საგანძური“ შემდეგი ავტორებისგან: ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა, აკაკი წერეთელი, სულხან-საბა ორბელიანი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი და მრავალი სხვა, წიგნები სერიიდან „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“, მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“, ჯეკ

უკვე ერთი წელია, რაც ელენე ჩაფუშვილი ფშავლის სოლომონ იორდანიშვილის სახელობის ბიბლიოთეკის გამგეა. დაამთავრა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი მაგისტრის ხარისხით. იგი აქტიურად მოღვაწეობდა ამ სასწავლებელში შემოქმედებით ღონისძიებებში და თავი გამოიჩინა საკუთარი ლექსებით.

აღნიშნული ბიბლიოთეკის წიგნები ფონდი რვა ათასამდეა. ალბათ, კიდევ უფრო გაიზარდება წიგნების რაოდენობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ბიბლიოთეკას სწორედ რომ სამართლიანად ეწოდა სახელოვანი და ღვაწლმოსილი მეცნიერის ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარის, მთარგმნელის და საზოგადო მოღვაწის სოლომონ იორდანიშვილის სახელი.

ამ ღირსეული მეცნიერის მეუღლე განსვლდა მეტად განათლებული და უსათნოესი ქალბატონი მარტა ჯაჭავაძე. მისი ოჯახის შთამომავლები კი არიან ენათმეცნიერი ლალი იორდანიშვილი, ბიოქიმიკოსი, აკადემიკოსი ბიორგანი (სულა) იორდანიშვილი, ხოლო შეილიშვილები: მედიცინის დოქტორი გონა შათირიშვილი და ფილოლოგიის დოქტორი ლელა შათირიშვილი.

ლონდონის „მარტინ იდენი“, უილიამ შექსპირის „ჰამლეტი“, ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტი“, მიხაილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“, წიგნები სერიიდან: „მსოფლიო ლიტერატურის შედევრები მოზარდებისათვის“, სერიიდან „მსოფლიოს რჩეული მოთხრობა“, სერიიდან „წიგნი ყველა თაობისათვის“ და ასევე დავით-დევი გოგებაშვილის „ბალები“, „დილა სასწავლებლის წინ“, მისი ლექსების ორი კრებული ავტორის ავტოგრაფით და მრავალი სხვა.

2011 წლის იანვარში გარდაიცვალა სოლომონ იორდანიშვილის უფროსი შვილი ქალბატონი ლალი იორდანიშვილი, რომლისთვისაც ფშაველი მშობლიური კუთხე იყო. ლალი იორდანიშვილს დიდი ამაგი ჰქონდა მამამისის სახელობის ბიბლიოთეკაზე. მისი

სურვილი იყო სწორედ ამ ბიბლიოთეკისთვის ახალი რჩეული წიგნების შექენა და საჩუქრად გადაცემა. სწორედ ეს სურვილი აუსრულეს მისმა ძმამ და შეილებმა და ბიბლიოთეკარ ელენე ჩაფუშვილს ფშაველში 5 მარტს გადასცეს წიგნები. როგორც გონა შათირიშვილმა გვითხრა, მისი დიდი სურვილია, რომ ეს მაგალითი ყველა ადამიანმა გადაიღოს და თავისი სოფლის თუ ქალაქის ბიბლიოთეკებს საჩუქრად გადასცეს სულ მცირე ერთი წიგნი მაინც, მითუმეტეს, რომ სადღეისოდ მრავალმა გამომცემლობამ მეტად ხელმისაწვდომ ფასად საუკეთესო წიგნები გამოსცა.

სოლომონ იორდანიშვილის შთამომავლები კვლავ მოამარაგებენ ახალი გამოცემებით ფშავლის ბიბლიოთეკას.

ზაქარო ჯაჭავაძე

შ ი ლ ლ ს შ ა

დაბადების დღეს ვულოცავთ:

<p>ლია ჭილლაძის</p> <p>*</p> <p>გონა პლატონიშვილის</p> <p>*</p> <p>ეთერ მათუშაძის</p>	<p>ნინო კობიაშვილის</p> <p>*</p> <p>დათო ბურღიაშვილის</p> <p>*</p> <p>ცირა ხასანია-შემცრონაშვილის</p> <p>*</p> <p>ვივი მჭედლიშვილის (ტაჭავაძის)</p>	<p>თემურ შავლაძის</p> <p>*</p> <p>გიგლა ჭინჭარაშვილის</p> <p>*</p> <p>მურღვა არლოთელის</p>
--	---	---

ახდრეობები ფოტოგრაფიკით



მეტანა ევა ჯაჭავაძე



ანამარია ბასილაძე



ნინო ტატიშვილი

<p>კავკასია</p>	<p>დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი</p> <p>იზა ჯაჭავაძე</p>	<p>რედაქტორი ლაშა-გიორგი ქრამიშვილი</p> <p>რედაქტორის მოადგილე ლიანა გიბიაძე</p>	<p>სარედაქციო საბჭო: ივანე წიკლაური, რეზო კობიაშვილი, ლევან ცალუელაშვილი, გიორგი ინიანიძე, ნუგზარ ილიძე, ხატა ბორჩაშვილი, ლეილა არჩემაშვილი, ლეილა არაბული, ომარ მარუქაშვილი, ქეთევან მჭედლური, გულო კობიაშვილი.</p> <p>ბავთი არ გამოხატავს არც ერთი პოლიტიკური პარტიის, ინტერესის, ავტორის თაველ ავთან კასუს მასალაში შთაბეჭდილობას. ავტორთა მისჯილად შთაბეჭდილება არ ეთმობა. რედაქციის პოლიტიკა. ბავთიდან მასალის გადამამუშავება რედაქციისთვის შემთავსებულია დაუფასებელია.</p>	<p>მისამართი: კოსტავას ქ.№14 ტელა: 52-16-38 899-79-76-13</p> <p>დაკავშირების კოდა ბედოიძის დისკონტაქტში www.bedoidze.site.ge</p>
------------------------	--	---	--	--